ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5276462

ნომერი: AR1785059

თარიღი : 29.10.2020

გაცემის თარიღი : 05.02.2021

გაცნობის თარიღი : 08.02.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა დ. აბაშიძე , N 10; ქალაქი თბილისი , ქუჩა დ. აბაშიძე , N 10;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ია ჩეხერია პ/ნ 01017025224
- შევჩენკოს #5

ორგანიზაცია:
- სითილოფტი კოდი: 404909934

ნომენკლატურა :

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს „სითი ლოფტი”
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404909934
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ივანე თარხნიშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01018000243

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი ჩხეტია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება, პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1.საპროექტო მონაკვეთის არსებული ფოტომასალა უნდა იყოს დათარიღებული. ამასთან წარმოდგენილი იქნას ის ფოტოები რომლებზეც დამუშავებულია მონტაჟები. (გაითვალისწინეთ, უნებართვო სამუშაოებთან დაკავშირებით წარმოდგენილი უნდა იქნას კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული წერილობითი გაფრთხილება)
2.კალენდარულ გრაფიკში დააფიქსირეთ ყველა ჩასატარებელი სამუშაო.
3.არქ.პროექტში საპროექტოსთან ერთად წარმოდგენილი იქნას არსებული ნახაზებიც.
4.განცხადებაზე თავდაპირველად წარმოდგენილ კონსტრუქციულ დასკვნაში ვხვდებოდით ჩანაწერს -,,ღობის გარე მხრიდან უნდა დამაგრდეს დამცავი ბადე'', ამ ეტაპზე განახლებულ არსებულ ფოტომასალაში ნათლად ჩანს, რომ დამცავი ბადის მოწყობა ხდება, საჭიროა აღნიშნული სამუშაო დაფიქსირდეს საპროექტო დოკუმენტაციაში. (მათ შორის ფოტომონტაჟზე, სანაპიროს ხედვის არეალიდან)
5.დოკუმემტაციაში წარმოდგენილი განახლებული მინდობილობა მისაღები არ არის, არქიტექტურის სამსახურში წარმომადგენლობის უფლებამოსილებას არ ითვალისწინებს. წარმოდგენილ იქნას არქიტექტურის სამსახურში წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. ამასთან შესასწორებელია დამკვეთის ველიც. დამკვეთის ინფორმაციაში შესაბამის ველებში მითითებულ იქნეს შპს „ურბან ელექტრიკი“ და მისი დირექტორი.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.
აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.